„გახსოვდეს ვისი გორისაც ხარ!“

გვარი და ტრადიცია

1 (39)

იანვარი 2017 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

საინფორმაციო ქრონიკა

2017 წლის 9 იანვარს შედგა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის აქტივის შეკრება.

შეკრებაზე განიხილეს ერთი საკითხი – ოსურ–ქართული კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები.

შეკრებას ესწრებოდნენ ოსურ–ქართული კონფლიქტის მოგვარების საინიციატივო ჯგუფის წევრები ვაჟა ხაჭაპურიძე, ანა ჯოხაძე, ზარიმა გაზაევა–ლაფაჩისა, ლიზიკო ყაულაშვილი, მარინა ბიბიევა.

საინციატივო ჯგუფი წარადგინა ოთარ კერვალიშვილმა. ინფორმაციით

გამოვიდა ვაჟა ხაჭაპურიძე. მან ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რაც არის ოსურ–ქართული ურთიერთობებში. აღნიშნა ურთიერთ თანაცხოვრების საუკუნოვანი ტრადიციები.

მოიყვანა მაგალითები შერეული ოჯახების ცხოვრებიდან და გამოთქვა გულისწუხილი მდგომარეობის გამო. წამოაყენა წინადადება სახალხო დიპლომატიის ამოქმედების შესახებ. გვარის წინამძღოლებს სთხოვა შეერთებოდნენ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას.

სიტყვებით გამოვიდნენ: ბესიკ კოჭლამაზაშვილი, ვაჟა ნადირაშვილი, ნუნუ გრძელიშვილი, ფრიდონ ლოლაძე, ნანა დვალი, ანა ჯოხაძე, ზარიმა გაზაევა–ლაფაჩისა. მათ მოიწონეს წამოყენებული წინადადება და სურვილი გამოთქვეს ამ საქმეში აქტიურად ჩართულობისათვის.

ავთანდილ არბოლიშვილმა წარმოადგინა საზოგადოება „ლიახველების“ ემბლემა და ხატი.

წმინდა გიორგი გამოსახულია ტახტზე მშვიდად მჯდომარე, გამარჯვებული და ფეხრთით აგდია განგმირული გველეშაპი. ეს არის სიმბოლო კეთილის გამარჯვებისა ბოროტებაზე და ოსურ–ქართული კონფლიქტის მოგვარებისა.

გადაწყდა შექმნილიყო გვარების წინამძღოლთა დარბაზის ხუთკაციანი კომისია, რომელიც იმუშავებს საინიციატივო ჯგუფთან ერთად, ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე და მოამზადებდნენ წინადადებებს და გარკვეულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის საქმიანობა მიმართული იქნება ოსურ–ქართული კონფლიქტის მოსაგვარებლად.

დამტკიცდა კომისია შემდეგი შემადგენლობით: მამია ჭუმბურიძე (ხელმძღვანელი), ფრიდონ ლოლაძე, ავთანდილ არბოლიშვილი, ნანა დვალი, ელენე კახნიაშვილი.

დედა

მგონია სადღაც აქვე
დადიხარ ეზო-სახლში,
შენს დარგულ ხრიზანთემებს
ეალერსები ბაღში,
რომ არ გელევა საქმე,
სკოლიდან შვილებს ელი,
ყველაფერს სწვდება შენი
თბილი გული და ხელი.
არ გაგრძნობინებს დაღლას
შენი შვილების მამა,
შეგაქებს, დაგიფასებს
მაგ დიდ შრომას და ამაგს...
-ახ, ნეტა მართლა იყო
აქ სადმე ახლო, ბაღში,
კვლავ მყავდეს ძმა და დები
და მეც კვლავ ვიყო ბავშვი!
-რა კარგი იყო თქვენთან
გატარებული ის დრო!!!
წარსულს ვიხსენებ ისე
სულ ახლა იყო თითქოს...
თვალზე არ შრება ცრემლი,
ფუფალო, ჭასუხს ველი,
რად დავისაჯე, რაა
დანაშაული ჩემი?!
-სულ ეს კითხვები მტანჯავს
თავთან მარტო როს ვრჩები.

ნარგიზა ტურძილაძე

საზოგადოებამ სიმართლე უნდა იცოდეს

„კვირის პალიტრის“ ერთგული მკითხველი გახლავართ. ყოველ ორშაბათს გაზეთს ვიძენ და მთელი კვირის განმავლობაში ვკითხულობთ. განსაკუთრებულ ყურადღებას ბატონ თორნიკე ყაჯრიშვილის სტატიებს ვაქცევ, მომწონს მისი შერჩეული თემები და წერის მანერა. ახლაც გულისყურით წავიკითხე მისი წერილი, მაგრამ საზოგადოებამ სიმართლე რომ იცოდეს, კალამი ავიღე ხელთ. ავტორი წერს: „პატრიარქის კურთხევითა და საპატრიარქოსთან არსებულ საქართველოს ჩოხოსანთა თაოსნობით ახალ პროექტს ჩაეყარა საფუძველი, საყოველთაო ნათლობების მსგავსად, საყოველთაო ჯვრისწერასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ოქტომბრიდან დღემდე უკვე 150–მდე წყვილმა დაიწერა ჯვარი, ყველაფერი კი ასე დაიწყო: რამდენიმე წლის წინ საპატრიარქოსთან არსებული საქართველოს ჩოხოსანთა თავმჯდომარის მოადგილეს, ზვიად სეხნიაშვილს გაუჩნდა იდეა ერთდროულად რამდენიმე წყვილს დაეწერა ჯვარი. ეს მოსაზრება ილია მეორეს გაუზიარა. პატრიარქს მოეწონა ეს იდეა, ჩოხოსნებს მისცა კურთხევა ჩანაფიქრი განეხორციელებინათ („კვირის პალიტრა“, 2017 წელი. №1, 1–8 იანვარი, გვ. 11).

ამ საღმრთო საქმეს რამდენად მეტი ორგანიზაცია მოკიდებს ხელს, მით უკეთესი, ოღონდ საზოგადოებას შეცდომაში ნუ შევიყვანთ. ჯერ კიდევ 2002 წელს ამ ინიციატივით ნიკოლაიშვილების გვარი გამოვიდა და 2002 წლის 16 ივნისს საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის ტაძარში 10 წყვილს, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორსაც დაწერა ჯვარი. სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“, რომელიც უწმინდესის კურთხევით სამების საპატრიარქო ტაძარში მოღვაწეობს, დიდი წარმატებით აგრძელებს ამ საქმეს. გარდა ამისა, ყოველ ორგანიზებულ, ნაკურთხ გვარს აქვს თავისი მფარველი წმინდანის ხატი, რომელიც სათანადო წესისა და რიგის დაცვით ოჯახებში მოგზაურობს; წინაპირობა ასეთია: ოჯახში, სადაც ხატი შებრძანდება, სახლი ნაკურთხი უნდა იყოს, ხოლო ოჯახის წევრები მონათლულნი და ჯვარდწერილები. ასე რომ პირველაღმომჩენის მანტიას ნურავინ მოირგებს...

ლევან ფრუიძე,
ქ. თბილისი,
2017 წლის 9 იანვარი

გაზეთ „გვარი და ტრადიციას"

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლებს!

ბატონებო და ქალბატონებო, მე გახლავართ ავთანდილ არბოლიშვილი, არბოლიშვილთა გვარის წინამძღოლი.

2011 წ. აგვისტოში ამავე დარბაზში წამოვაყენე იდეა ჩრდილოეთ ქართლის გვარების გაერთიანების შესახებ, სახელწოდებით „ლიახველები", სადაც ჩვეულებრივ გამგეობა შედგებოდა გვართა წარმომადგენლებისაგან და ერთობლივად გადაწყდება ლიახველთა პრობლემური საკითხები.

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა, მაგრამ იდეამ განხორციელება ვერ ჰპოვა, ამის მიზეზი თითოეული ჩვენთაგანის პასიურობაა, რაც საქმეს არანაირად სასიკეთოდ არ წაადგება. მეგობრებო, ისევ მოგიწოდებთ, გულთან ახლოს მივიტანოთ დღევანდელი ჩვენი სამშობლოს გასაჭირი, განსაკუთრებით ლიახვის ხეობის მცხოვრებთა მისამართით, რამეთუ ამ ხეობიდან დევნილი მოსახლეობა წლებია გაუსაძლისი პირობებში იმყოფება და ითხოვს შველას.

გვინდა სულ მცირე ის მაინც მოვახერხოთ, რომ წინაპართა საფლავებზე გავიდეთ და ერთი სანთელი მათი სულების მეოხებისათვის ავანთოთ, განსაკუთრებით აღდგომის დღესასწაულის მეორე დღეს, რომელსაც საფლავზე გასვლას ვეძახით.

მაქვს ასეთი იდეა, პატარა ლიახვის ხეობაში არის ტაძარი – გერის წმ. გიორგის სახელზე აგებული, VI საუკუნეში ქართლის მეფე ფარსმანის მიერ.

გერის სალოცავის შესახებ არსებობს ლეგენდა: მეფე ფარსმანს ცოლად ყავდა აფხაზეთა მთავრის ასული, რომელსაც მზითვში წმ. გიორგის ხატი მოჰყვა. ამავე წმინდანის ნაწილიანი, რომელიც მე–20 საუკუნეში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ გერის ტაძრიდან დაიკარგა.

გერის წმ. გიორგი ქართლში უდიდეს სალოცავად ითვლება, რომელიც გუდისის ქედზე ზღვის დონიდან 1400



მ–ია, ხოლო ქ. ცხინვალიდან 20 კილომეტრში მდებარეობს. მიუხედავად ამისა სექტემბრის დასაწყისში ღვთისმშობლობის შემდეგ, ხალხი ადის სალოცავში და მიჰყავთ შეთქმული საკლავი.

გამიჩნდა იდეა შევქმნათ ძლევის წმ. გიორგის ხატი, რომელიც არბოლიშვილებმა გორიჯვარის საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვრის ერთ–ერთი სიუჟეტიდან ავიღეთ, რომელსაც გამარჯვებული წმ. გიორგი ანუ ძლევის წმ. გიორგი ეწოდება. აქ წმ. გიორგი აღარ იბრძვის ტახტზედ არის დაბრძანებული და მის ფეხთ გველეშაპი არის გართხმული, ანუ სიკეთემ დაამარცხა ბოროტი ძალა და ეს სიუჟეტი საგვარეულო ხატად ვაქციეთ, რომელიც თითოეული ჩვენგანის ოჯახში დაბრძანდება.

2014 წლის 14 დეკემბერს არბოლიშვილებმა შევქმენით ძლევის წმ. გიორგის მეორე ხატი და შიდა ქართლში სოფ. არბოს წმ. გიორგის ტაძარს შევწირეთ. იგი ბარის და გერი მთის საბრძანისად ითვლება.

მეგობრებო მაქვს დიდი ხნის სურვილი და ნატვრა, რომ შევქმნათ ძლევის წმ. გიორგის მესამე ხატი. ამჟამად მსურს მთელმა ქართლის მოსახლეობამ და არა მარტო მათ ვისაც სურვილი აქვს ყველამ მიიღოს მონაწილეობა. ეს ხატი მის უწმინდესობას საქართველოს კათალიკოს–პატრიარქს ილია II–ს ვაკურთხებინოთ, შემდგომ სანთლებით, ლოცვით და გალობით გავეშუროთ გერის სალოცავში და შევწიროთ იგი სადიდებლად ღვთის მეოხად და მფარგველად სრულიად საქართველოსა, ვფიქრობ ამ ღვთიურ საქმეში იქ მცხოვრები ოსი მოსახლეობაც გვერდით დაგვიდგება და ერთობლივი ძალისხმევით წლების მანძილზედ ბოროტი ძალის მიერ გაფუჭებული ურთიერთობის აღდგენა აღორძინებას შეუწყობს ხელს.

ჯვარი რომლის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობ მოჭედილია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც რელიეფური ჭედვით გამოსახულია წმ. გიორგის ცხოვრებისა და წამების 15 სიუჟეტი.

ჯვრის ქვედა ნაწილზე მოთავსებული 16–სტრიქონიანი წარწერა გვატყობინებს, რომ მეფე ალექსანდრეს ჯვარი შეუწირავს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიისათვის, რათა მეფე განეკურნა მძიმე დაავადებისაგან.

ისტორიული წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ წარწერაში მოხსენებული პირი ალექსანდრე არის გაერთიანებული საქართველოს მეფე ალექსანდრე I (1412–1442). ისიც ცნობილია, რომ მეფე ალექსანდრე მძიმედ ყოფილა დაავადებული და შემდეგ განკურნებულა.

ამდენად ალექსანდრე I–ის არქიტექტორობით მოჭედილი ჯვრის შესრულების თარიღი 1439–1442 წლებით უნდა განისაზღვროს.

მეფე ალექსანდრე I საქართველოს ისტორიაში ერთ–ერთ მნიშვნელოვან პიროვნებად არის მიჩნეული. მან შეძლო აღედგინა პოლიტიკურად ერთიანი საქართველო, რისთვისაც ხალხმა „დიდი" უწოდა.

ჯვარი რომელზედაც ვსაუბრობ გორელ მემამულეს გიორგი ამილახვარს ეკლესიიდან სახლში გადაუტანია. მისგან ჯვარი შეუძენიათ 1920 წელს – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების მუზეუმისთვის.

ამჟამად გორიჯვრის საკურთხევლის წინ დასადგმელი ჯვარი საქართველოს შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

მეგობრებო ალბათ ხვდებით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ძლევის წმ. გიორგის ხატის შექმნა, რაოდენ დიდი ისტორიული მისია უდევს საძირკვლად.

დაე, ძლევის წმ. გიორგიმ გააერთიანოს და გაამთლიანოს ჩვენი სამშობლო, მერწმუნეთ მისი ძალისხმევით შევძლებთ არამარტო ჩრდილოეთ ქართლის არამედ ისტორიული დვალეთის, აფხაზეთის, საინგილოს, ლორეს და ტაო–კლარჯეთის დაბრუნებას.

P. S. აქვე მსურს გაცნობოთ, რომ ფეისბუქზე წლების უკან შევქმენი გვერდი სახელწოლდებით „ლიახველები", სადაც ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია გაწევრიანდეს და გამოაქვეყნოს ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები, განსაკუთრებით სასურველია ლიახვის ხეობელთა შესახებ!

ღრმა პატივისცემით,

არბოლიშვილთა საგვარეულო
კავშირის წინამძღოლი
ავთანდილ არგოლიშვილი–
არგოელი

მადლობა ჩხიკვაძეთა საგვარეულო კავშირს

გამოვიდა ,,საქართველოს ისტორია" (უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე), რომლის ავტორები არიან ნიკო ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია. ამ სახელმძღვანელოთი 1942-1956 წლებში სწავლობდნენ საშუალო სკოლის უფროსი კლასელები. 1956 წელს კი ამოიღეს პროგრამიდან და კრემლის ბრძანებით ,,დაატუსაღეს", ამიტომ წიგნსაც ეწოდა ,,დატუსაღებული ისტორია". დღეს ეს წიგნი დაგვიბრუნდა პირვანდელი სახით, ალალი, მართალი საქართველოს სიყვარულით და სიამაყით გასხივოსნებული.

აღსანიშნავია, რომ წიგნი გამოცემულია ჩხიკვაძეების საგვარეულოს ინიციატივით და დახმარებით.

მადლობას ვუხდით ჩხიკვაძეების საგვარეულო კავშირს მამულიშვილური ქმედებისათვის.

გამოწვევები ასოციერების ხელშეკრულების იმპლემენტაციისა და ევროინტეგრაციის გზაზე

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო საქართველოს მოქალაქენო, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ ჩვენი ღმერთის და ქვეყნის მსახურებაში მე მინდა დღეს ვისაუბრო თქვენთან ფრიად საინტერესო თემაზე კონფერენცია, რომელიც ჩატარდა თბილისში 29 ნოემბერს სასტუმრო „ტიფლის პალასში". სადაც ვიყავი მიწვეული დეკანოზი ანდრია (ჯაღმაიძეს) მიერ მისივე ლოცვა–კურთხევით გაგაცნობთ თუ რას შეეხებოდა კონფერენცია სახელწოდებით. „გამოწვევები ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციისა და ევროინტეგრაციის გზაზე".

კონფერენციის პროგრამიდან:

მიმდინარე პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ინტეგრაციისათვის ევროპულ სივრცეში. ძალაში შესული ასოცირების ხელშეკრულება და მოსალოდნელი ვიზალიბერალიზაცია უმნიშვნელოვანესი მოვლენებია ამ მიმართულებით.

კავშირი „21–ე საუკუნე" საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით უკვე ოთხი წელია ახორციელებს რიგ აქტივობებს.

ჩვენი ერთობლივი მიზანია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა ევროინტეგრაციის პროცესის ირგვლივ, მათთვის მიუკერძოებელი, სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ამგვარი აქტივობები ძალზედ მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ ყველა სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლელსია რჩება ყველაზე სანდო ინსტიტუციად, ხოლო მისი წინამძღოლი მეტად ავტორიტეტულ პიროვნებად ქვეყანაში. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ ინსტიტუტისა და ცალკეული გავლენიანი სასულიერო პირების პოზიციას მიმდინარე პროცესებისადმი.

29 ნოემბერს დაგეგმილი კონფერენცია წარმოგიდგენთ განხორციელებული მუშაობის შედეგებს, მათ შორისაა ორ გამოცემას „გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლება" და „რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში".

ეს თემატიკა შეირჩა იმ მოვლენების გათვალისწინებით, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ბოლო პერიოდის განმავლობაში და რამაც გამოიწვია დაპირისპირება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის – ქაშვეთის ეკლესიასთან წმინდა ნინოს გაშარჟებული გამოსახულება,

ლადო ასათიანი – 100

100 წელი შესრულდა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის ლადო ასათიანის დაბადებიდან.

იგი 1917 წლის 14 იანვარს დაიბადა ქ. ქუთაისში. მისი პოეტური ბიოგრაფია სულ რაღაც 5-6 წელი გაგრძელდა. ულმობელმა სენმა ხელიდან გამოგვაცალა ბრწყინვალე ნიჭის ახალგაზრდა. ლადო გარდაიცვალა 1943 წლის 23 ივლისს თბილისში. დიდი იყო დანაკლისი ქართული მწერლობისათვის. მისი თაობის ახალგაზრდების მიერ იყო შექმნილი თბილისური პოეტური ატმოსფერო. ლადო დადგებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავში ნორჩი ჭადრის ძირას, რომელსაც ლადოს ხე შეარქვეს მეგობრებმა, ცოტა ხნის შემდეგ კი აქ თავს მოიყრიდნენ სხვადასხვა ქუჩიდან ახალგაზრდა მწერლები. ამ თავშეყრის შესახებ ლადოს უთქვამს:

,,გალმართის და გამოღმართის,
ზემოთის და ქვემოთის,
პოეტები შეგროვილან,
სიმონიკაც ქვე მოდის.“
(იგულისხმება სიმონიკა სხირტლაძე)

საყოველთაოდ ცნობილია ლადოს ლექსები. დღეს გვინდა შემოგთავაზოთ მისი ნათარგმნი ერთი ლექსი. ვთვლით, რომ ამ თარგმანს ბადალი არ აქვს. ეს გახლავთ ბაირონის თანამედროვე პოეტის რობერტ სოუთის ლექსი ,,ლოდორის ჩანჩქერი“. თარგმანი შესრულებულია რუსული ტექსტიდან, ეს ლექსი იმდენად არის საინტერესო, რომ ჩანჩქერის მოდინება იასეა აღწერილი, რომ ერთი სიტყვა ორჯერ არ მეორდება.

ლოდორის ჩანჩქერი

ვით ერთვიან წყლები ლოდორს?
ხრიალით,
გრიალით,
მჩქეფარედ,
მღელვარედ,
გუგუნით,
ღუღუნით,
ქუხილით,
დუღილით,
თქრიალით,
ტრიალით,
ჩქაფანით,
დგაფანით,
ცქვიტად, ღრიალით,
ფიცხდ, რიალით,
რიხით და მქუხარედ,
ხმაურით, მჭექარედ,
ღმუილით, ქაფქაფით, რუხრუხით,
ხტუნვით და კუნტრუშით, ბუხნუხით
ბრდღვინვით და ქოთქოთით, ქაქანით,
ალერსით, რიხით და გრაგანით,
დრტვინვით და კისკისით, დუდუნით,
ბუტბუტით, კამკამით, ბუზღუნით,
მკვირცხლად და ცქრიალით, ხტომა და ჩქერებით,
ფერთაცვლით, ქროლებით, შმაგად და ძგერებით,
ტორტმანით, გრუხუნით, ზათქის და დგანდგარით,
ჩუხჩუხით, თამაშით, მსხვრევით და თქართქარით,
ფოფინით, ხუილით, კაშკაშით, ჟრარუნით,
ქშენით და შრიალით, ლაწანით, წკარუნით,
ქრიალით, წკრიალით, ლივლივით, ზრიალით,
შეხტომით, შეფრენით, ურჩად და ხრიალით,
შფოთით და გნიასით, კლაკნით და გორებით,
ჟრჟოლით და კანკალით, რუკრუკით, ქროლებით,
სულ წინსრბოლით და სწრაფმდინარები
მოქრის გიჟმაჟი, ლაღად მოგორავს,
ასე ერთვიან მჩქეფარე წყლები
პირმოკამკამე ფეხმარდ ლოდორას!

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორგანიზებული გამოფენის დროს განთავისებული ღვთისმშობლის ნახატი, ქობულეთში მედრესეს შესასვლელზე ღორის თავის მიჭედების ფაქტი სოციალური ქსელებში არსებული არაერთი გვერდი, საგნის „მე და საზოგადოების“ ირგვლივ ატეხილი ცხარე დისკუსია, პარლამენტში ორჯერ ინიცირებული კანონპროექტი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის ადმინისტრაციული სახდელის შემოღების შესახებ – ეს და სხვა არაერთი ფაქტი ცალსახად მიუთითებს ამ საკითხების პრობლემატურობასა და მასზე მუშაობის აუცილებლობაზე.

კონფერენციაზე მოწვეული არიან ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, რელიგიური გაერთიანებების, მედიის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

კონფერენციის გახსნა: თეა გოგოტიშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი რელიგიათაშორისი ურთიერთობის საკითხებში, იულია ბლეზიუსი, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის საკორდინაციო ოფისის ხელმძღვანელი, ია თიკანაძე, ფიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ირინა ფრუიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

სიტყვით გამოვიდნენ: პაატა გაჩეჩილაძე „21–ე საუკუნის პროგრამების ხელმძღვანელი, იურისტი ნინო შავგულაძე. გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და საპატრიარქოსთან არსებული წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის თავჯდომარე რუსთავის მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), დეკანოზი ანდრია (ჯაღმაიძე), დეკანოზი არჩილი (ხაჩიძე).

განვიხილოთ ავსტრიის მაგალითი ამონარიდი გამოცემიდან:

„ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ“. 1994 წ. ამ საქმეში ავსტრიის ხელისუფლებამ აკრძალა სატირული ფილმის ჩვენება, რომელიც უღირსად წარმოაჩენდა ქრისტესა და ღვთისმშობელს, რაც მათი აზრით მკრეხელური შინარსიის იყო და შეურაცხყოფდა ტიროლის მოსახლეობის უმრავლესობის აღმსარებლობით რომაული კათოლიკური ეკლესიის მიმდევართა რელიგიურ გრძნობებს.

მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ გამოკვეთა ე. წ. „შეფასებების ზღვრის“ კონცეფცია რომელიც ჩამოაყალიბა ევროპის საბჭოში შემავალი ქვეყნების ზნეობრივ ღირებულებებსა და ტრადიციებს შორის განსხვავების გათვალისწინებით. შეფასების ზღვრის კონცეფციის შესაბამისად, ეროვნულ ხელისუფლებებს ენიჭებათ გარკვეული დისკრედიტაცია ზნეობრივ საკითხებზე მსჯელობისას სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში (კონვენციის მე–10 მუხლი) ჩარევა კანონიერი იყო. მან გაიზიარა ავსტრიის მთავრობის აზრი, რომ ფილმის ჩამორთმევა და დაყადაღება განპირობებული იყო „სხვათა უფლებების“ დაცვით, სახელდობრ, სხვების რელიგიური გრძნობების პატივისცემის ვალდებულებების დაცვით და „არეულობის თავიდან აცილების“ მიზნით. შესაბამისად, არ დაადგინა კონვენციის მე–10 მუხლის დარღვევა.

აქედან გამომდინარე მინდა გითხრათ, რომ ჩვენთანაც ხშირია თავდასხმა სხვადასხვა მეთოდებით ეკლესიაზეც და საერო ორგანიზაციებზეც. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მართლმადიდებლები უმრავლესობას წარმოადგენენ, ყველაფერი ეს უნდა კანონით რეგულირდებოდეს.

ზემოთ მოყვანილი შემთხვევებიდან კი ნათლად ჩანს, რომ არავის აქვს უფლება, არც უმრავლესობას და არც უმცირესობას აკეთოს ის, რაც მოესურვებათ და არ დაემორჩილოს კანონს. მე ამით მინდა იმის თქმა, რომ როდესაც რომელიმე კონფესიას ან ორგანიზაციას სურს რაიმე სახის გამოსვლები თავშეყრა უნდა ქონდეს შეთანხმებული მთავრობასთან. მიუხედავად იმისა თუ პარალელურად შეტანილი აქვს განცხადება ქვეყნის უმრავლესობას იმის შესახებ, რომ გამოსვლა თავშეყრა ფილმის ჩვენება შეურაცხმყოფელია უმრავლესობისათვის, მაშინ „ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ“ მაგალითის მიხედვით უნდა აიკრძალოს მათი გამოსვლა, შეკრება თუ ფილმის ჩვენება, რათა თავიდან ავიცილოთ ის მწარე შემთხვევები რომლებიც ხდება ჩვენს ქვეყანაში ქუჩაში დაპირისპირება უმრავლესობისა და უმცირესობისა, რათა მიუახლოვდეთ კიდევ უფრო ევროპულ ოჯახს, სადაც არ უნდა იყოს ძალადობა მაგრამ არც კანონის დარღვევა.

განვიხილოთ მეორე მაგალითი: „რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში“ .

იტალიაში სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მდგომარეობაა, როდესაც საქმე ეხება, ერთი მხრივ კათოლიკურ ეკლესიას და მეორე მხრივ სხვა კონფესიებს. კათოლიკურ რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო კისრულობს. დადგენილია მოსამზადებელი და დაწყებითი სკოლებში რელიგიის კვირაში ორსაათიანი სწავლება, ხოლო უფროსი კლასებისთვის ერთ საათის ხანგრძლივობით. ყოველ წელს, მოსწავლეებმა ან მშობლებმა უნდა განაცხადონ, სურთ თუ არა კათოლიკური რელიგიური განათლების მიღება თავიანთი შვილებისთვის შესაბამის კლასებში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მოწაფეებს შეუძლიათ, სხვა საგნებს დაეუფლონ ან ამ პერიოდის განმავლობაში არ იმყოფებოდნენ სკოლის შენობაში.

რელიგიის მასწავლებლებს არჩევს ეპარქიის ეპისკოპოსი იმ პირთა სიიდან რომელთაც ღვთისმეტყველებასა და საეკლესიო დისციპლინებში კვალიფიკაციის სერტიფიკატი აქვთ და წარმატებით გაიარეს ეროვნული კონკურსი.

კათოლიკური რელიგიის სასწავლო პროგრამის შეთანხმება სკოლის თითოეული ტიპისთვის სახელმწიფო განათლების მინისტრსა და იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის თავჯდომარეს შორის ხდება ექვს კონფესიას, რომლებმაც ხელშეკრულება გააფორმეს იტალიის სახელმწიფოსთან, უფლება აქვთ თავიანთი კონფესიიდან მასწავლებლები მიავლინონ სახელმწიფო სკოლებში, თუკი მასწავლებლები, მშობლები ან სასკოლო ორგანიზაციები ითხოვენ ამა თუ იმ რელიგიის (მაგ. იუდაიზმი) სწავლებას ან ზოგადად „რელიგიის ფენომენის და მისი მნიშვნელობის“ შესწავლას.

ვფიქრობ ძალიან კარგი იყო ეს კონფერენცია ჩვენ ქვეყნისთვის იმის გასაცნობიერებლად, თუ როგორ ცხოვრობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რისთვისაც მადლობას უხდით ორგანიზატორებს. ინფორმაცია მთელი ყურადღებით უნდა მოვისმინოთ, ხოლო შემდგომ პარლამენტმა ჩამოაყალიბოს კანონად. რაც იქნება ჩემი ფიქრით ყველაზე დემოკრატიული ცივილიზებული გზა თანამედროვე ქვეყანაში.

ღმერთი გფარავდეთ.

საქართველოს „გვარი და გვარიშვილობის“
გამგეობის წევრი
ტელევიზიასთა ნ ურთიერთობის მენეჯერი
კოტოვანთა გვარის წინამძღოლი
მარატ კიტოვანი

ალკაზარ (ალეკო) კაკულია

კაკულიების გვარმა მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გვარის წინამძღოლი, შესანიშნავი პიროვნება ალკაზარ (ალეკო) კაკულია.

ალკაზარ (ალეკო) კაკულია დაიბადა 1937 წლის 29 ივნისს ქ. ფოთში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით, შემდეგ მოსკოვის სახალხო მეურნეობის მართვის საკავშირო ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო რიგით მშენებელ-ოსტატის თანამდებობიდან და მიაღწია საქართველოს სასოფლო-მშენებლობის მინისტრის მოადგილის თანამდებობამდე. მუშაობდა საქართველოს კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

იყო არჩეული საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლმშენკომპლექსის“ თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ შპს „საქსოფლმშენკომპლექსის“ თავმჯდომარედ.

წლების განმავლობაში ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც: 1965 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველო-ჩეხეთის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის საზოგადოებას; იყო ქართული ფეხბურთის განვითარებისა და აღორძინების ფონდის პრეზიდენტი, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდის თავმჯდომარე, ყოველთვიური გაზეთ „აღმშენებლობის მემატიანეს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, საქართველოს მშენებელთა კავშირის წევრი.

იყო ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ბატონი ალეკო ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. შესანიშნავად იცოდა ჩეხური ენა, მრავალი ნაწარმოები აქვს ჩეხურიდან ნათარგმნი, წერდა ლექსებს. მისი დის ცნობილ მომღერლის ეთერ კაკულიას სიმღერების ნახევარზე მეტი ბატონ ალეკოს ტექსტებზეა შექმნილი.

ნათელში ყოფილიყოს მისი ხსოვნა.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობა

ბაკურ ნადირაშვილი

სრულიად საქართველოს ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა. 44 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ბაკურ ნადირაშვილი, კავშირის აქტიური წევრი, ყველა შეხვედრის მონაწილე, ჭირში და ლხინში გვერდში მდგომი მეგობარი.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება, დააკლდა ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს და გვარიშვილებს. ერთ რამედ ღირდა მისი სუფრაზე ყოფნა. მისი სადღეგრძელოები და ლექსები ჩვენი თავშეყრის მშვენება იყო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი ბაკური. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მისი საყვარელი სამშობლოს მიწა.

ბაკურის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენში.

სრულიად საქართველოს ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირი

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი ,,გვარი და გვარიშვილობა“ მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირის წევრის

ბაკურ ნადირაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი ,,გვარი და გვარიშვილობა“ მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს სხირტლაძეთა საგვარეულო კავშირს ცნობილი მოცეკვავის

დავით სხირტლაძის

გარდაცვალების გამო.

გვარების წინამძღოლთა საყურადღებოდ

ამა წლის აპრილის თვის ბოლოს ტარდება გვარების თვითშემოქმედების მუსიკალური ფესტივალი (სიმღერა, ცეკვა, მხატვრული კითხვა).

გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ფესტივალში მონაწილეობისათვის.

დაწვრილებით ინფორმაციისათვის მიმართეთ მარატ კიტოვანს.

ტელ: 599 50 58 37

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტები:

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871